

პანდემიური (H1N1) 2009-ით ინფიცირებულ ადამიანთა კლინიკური მართვა: კორექტირებელი სახელმძღვანელო

შეჯამება

სახელმძღვანელო ინფორმაციას აწვდის ჯანდაცვის თანამშრომლებს პანდემიური (H1N1) 2009 შესაძლო ან დადასტურებული შემთხვევების მართვასთან დაკავშირებით. აქ ძირითადად თავმოყრილია ცოდნა პანდემიური გრიპის კლინიკური მიმდინარეობის შესახებ საერთაშორისო კონსულტაციების საფუძველზე.

ძირითადი პუნქტები:

- მძიმე დაავადების რისკ ფაქტორები;
- პროგრესირებადი დაავადების ნიშნები და სიმპტომები;
- დიაგნოზი;
- მკურნალობა, ორივე, ჰოსპიტალიზირებულ და არაჰოსპიტალიზირებულ პაციენტებში;
- კლინიკური მეთვალყურეობა რესურსების სიმცირის დროს.

დიაგნოზი

გაურთულებელი გრიპის დიაგნოზი შეიძლება დაისვას კლინიკურ სიმპტომებზე დაყრდნობით, როცა ცნობილია საზოგადოებაში ვირუსის ცირკულაციის შესახებ.

გრიპის ნიშნებისა და სიმპტომების პროგრესირების შემთხვევაში ყველა პაციენტმა უნდა მიმართოს ჯანმრთელობის მომსახურების ადგილობრივ მიმწოდებელს.

პროგრესირებადი დაავადების ნიშნები შესაძლოა მოიცავდეს:

- მაღალი ტემპერატურა 3 დღის განმავლობაში;
- სუნთქვის გაძნელება ან ციანოზი;
- სისხლიანი ან შეფერადებული ნერწყვი; ტკივილი გულმკერდის არეში ან დაბალი წნევა;
- ბავშვებში, სწრაფი ან გართულებული სუნთქვა;
- ძილიანობა, დაბნეულობა ან ძლიერი სისუსტე;
- დეჰიდრატაცია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს თავბრუ, დააქვეითოს შარდის გამოყოფა ან ლეთარგია;

ლაბორატორიული კვლევის ჩატარება მაღალი რისკის მქონე პაციენტებში დიაგნოზის დასადასტურებლად არის პრიორიტეტული.

ამასთან უმჯობესია H1N1-ის ლაბორატორიულ დადასტურებამდე არ გადაიდოს გრიპის მსგავსი დაავადების მკურნალობის კურსი.

მკურნალობა

დაავადების მსუბუქი ფორმის დროს (რაც ყველაზე ხშირია), საკმარისია სიმპტომური მკურნალობა (მაგ: ტკივილის შემსუბუქება, ტემპერატურის დაწევა).

მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის მომსახურების მიმწოდებლები პაციენტებს აძლევენ რეკომენდაციებს დაავადების გართულების ნიშნებთან და სამედიცინო ჩარევასთან დაკავშირებით.

ორსულებში, ჯანმო იძლევა რეკომენდაციას გრიპის მსგავსი დაავადების შესაძლო ან დადასტურებულ შემთხვევაში ანტივირუსული მკურნალობის ადრეულ დაწყებასთან დაკავშირებით.

ჩვილებში და 2 წლამდე ასაკის ბავშვებში, სიმპტომების გამოვლენისთანავე უნდა დაიწყოს ანტივირუსული მკურნალობა.

ზოგადად, ანტივირუსული მკურნალობის რეკომენდაციებია:

- პაციენტებს, რომლებსაც აქვთ მძიმე ან პროგრესირებადი დაავადება უნდა უმკურნალონ ანტივირუსული პრეპარატებით რაც შეიძლება სწრაფად;
- აღამიანები, რომლებსაც აქვთ მსუბუქი სიმპტომები, მაგრამ იმყოფებიან მძიმე დაავადების განვითარების რისკის ქვეშ (მაგ: ორსულები, ჩვილები და ბავშვები, ფილტვის ქრონიკული პრობლემების მქონე პაციენტები), რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყონ ანტივირუსული მკურნალობა;
- ანტივირუსული მკურნალობა არ ესაჭიროებათ მათ, ვისაც აქვთ დაავადების მსუბუქი, გაურთულებელი ფორმა და არ იმყოფებიან იმყოფებიან მძიმე დაავადების განვითარების რისკის ქვეშ;

მეკუძურ დედებს შეუძლიათ გააგრძელონ ჩვილთა ძუძუთი კვება ანტივირუსული მკურნალობის პარალელურად.

საავადმყოფოებში, ჯანდაცვის მიმწოდებლები უნდა დააკვირდნენ ჟანგბადის დონეს და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ჟანგბადით უზრუნველყოფა სახელმძღვანელოს მითითებების მიხედვით. დაავადების პნევმონიით გართულების შემთხვევაში საჭიროა პაციენტთა ერთდროულად ანტივირუსული და ანტიბაქტერიული მკურნალობა, რაც შეიძლება სწრაფად.

კლინიკური მეთვალყურეობა რესურსების სიმცირის დროს

როდესაც ჯანდაცვის დაწესებულებებში შეზღუდულია რესურსები, კლინიკური ზედამხედველობა ფოკუსირებული უნდა იყოს პირველადი ჯანდაცვის რგოლისათვის ადრეულ მიმართვიანობაზე (მაგ. ოჯახის ექიმი), რათა განისაზღვროს თუ რა სახის მკურნალობა ესაჭიროება პაციენტს და გამოიყოს პრიორიტეტები მათთვის, ვისაც სჭირდება სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია, რა თქმა უნდა, დაავადების ნიშნებსა და სიმპტომებზე დაყრდნობით ტერიტორიაზე გრიპის ვირუსის აქტიურობის დონის გათვალისწინებით.

მიუხედავად შეზღუდული საშუალებებისა, ანტივირუსული მედიკამენტების მარაგების დეცენტრალიზაცია, ძალზე მნიშვნელოვანია რისკ-ჯგუფებისა და ყველაზე მოწყვლადი პოპულაციისათვის.

